ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის ოქმი
N 31

2023 წელი; 30 ივნისი; 10:30სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
არჩილ გორდულაძე
ავთანდილ ცინცაძე
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
აკაკი ალადაშვილი
ზაზა თავაძე
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- **გაიოზ თალაკვაძე** – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

- **ირაკლი გვილავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;

- **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **ვასილ აბულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;

- **მარიამ კვერნაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;

- **ქეთევან კანდელაკიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **თამარ ბიწაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

- **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;

- **გოგი ჩიქოვანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსი;

- **მარიამ ჩივაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა"(კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M 3 კატეგორიის და M 2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 1252 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 1341 მუხლით, 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 1252 მუხლით, 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

11. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 1252 მუხლით და 1353 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 1252 მუხლით და 1353 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

12. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ (ს/ნ: 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრო რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ: 405385578) უფლებამონაცვლე, შპს „ლ.ბ დიღომის“ (ს/ნ: 430044631) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.519) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. “ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.003.002.01.512) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. “ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4გ-ში (საკადასტრო კოდები N01.12.07.005.013.01.628 და N01.12.07.005.013.01.630) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.20.024.002.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. “ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-3 კვარტლის კორპუს ,,გ''-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.022.014.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 32.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. “ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N130-ში არსებული 50.35 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.077.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. ქალაქ თბილისში, გიორგი ჩიტაიას ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.002.001.31.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, მე-9 კვარტლის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.031.010.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 41.11 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. “ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N36-40-ის მიმდებარედ არსებული 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.016.040) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნეკაფესთვის“ (ს/ნ: 405270987) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. "ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლილი ვანილისთვის" (ს/ნ: 404548995) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. "ქ. თბილისში, მოსეშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.002.044) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასორტი ვერესთვის" (ს/ნ: 404880474) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.012.075) 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „მარიკა სვიანაძისთვის" (პ/ნ: 18001015487) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. „ქ. თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა, N28-66-ის მიმდებარედ 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.055) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის" (ს/ნ: 404552587) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. „ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ის მიმდებარედ 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის" (ს/ნ: 405241563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის" (ს/ნ: 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N199 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

34. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის" (ს/ნ: 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

35. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ: 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

36. ,,კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს ,,ირბისთვის“ (ს/კ 205133461) მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N105-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.017, ფართობი - 6 622 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

37. ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს ,,ისანი თაუერსის“ (ს/ნ 404614681) მიმართ მისამართებზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი. 45 (ს/კ: N01.13.06.010.019) და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 69 (ს/კ: 01.12.13.038.024) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

38. ,,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ჯსჯ გრუპის“ (ს/ნ 405382562) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

41. კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი.

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი წარუდგინა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე, შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა დარჩება უცვლელი და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს.

მომხსენებელის განმარტებით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია თბილისის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები, შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებების გადანაწილება ხდება შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

- იზრდება: „გზების მშენებლობა და აღდგენა" ქვეპროგრამის ასიგნებები – 4 900,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები - 2 500,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია პროგრამის ასიგნებები - 750,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები ქვეპროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში - 641,8 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა – 1 000,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია - 990,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა - 350,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 100,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო პროგრამის ასიგნება – 8 140,6 ათასი ლარით.

- მცირდება: „გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში" ქვეპროგრამის ასიგნებები – 500,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია – 7 939,5 ათასი ლარით, საპროექტო–სამიეო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები - 650,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება პროგრამის ასიგნებები - 10 800,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 1 382,9 ათასი ლარით.

მომხსენებლის თქმით, ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 687 ერთეულით, რაც განაპირობა სატრანსპორტო რეფორმამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურებს შორის კადრების გადანაწილებით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4777 ერთეულით.

გაიოზ თალაკვაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 665 278,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 605 178,1 ათასი ლარით, ხოლო, ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 95 678,7 ათასი ლარით.

დასასრულს, მომხსენებელმა დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა - **ირაკლი გვილავამ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის ცვლილებას.

მომხსენებლის განმარტებით, წესის მოქმედი რედაქციით, წარმატებულ სტუდენტს, სწავლის საფასურის დაფარვის მიზნით მიღებული დაფინანსება ერიცხება სამსახურში წარდგენილ პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებაში მითითების შემთხვევაში - უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე, ხოლო, პროექტის მიხედვით, **წარმატებულ სტუდენტს დაფინანსება გადაერიცხება, სამსახურში წარდგენილ პირად საბანკო ანგარიშის ნომერზე.**

მისივე მითითებით, სტუდენტის პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით გაცემული დაფინანსება იბეგრება, ხოლო უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით გაცემული დაფინანსების დაბეგვრა არ ხდება, რაც წარმოადგენდა სტუდენტების მიმართ არათანაბარ მიდგომას, წარმოდგენილი ცვლილებით კი, ყველა წარმატებული სტუდენტის დაფინანსება დაიბეგრება და მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც უზრუნველყოფს წარმატებული სტუდენტებისთვის თანაბარი პირობების შექმნას.

დასასრულს, **ირაკლი გვილავამ** განმარტა, რომ დადგენილება, მისი მიღების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე არ მოახდენს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე და პროექტით წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია, სათანადო ცვლილებები ასევე განხორციელდეს დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამის პუნქტში/ქვეპუნტში, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. „ა(ა)იპ - ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ უფროსმა - **გოგი ჩიქოვანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, საჯარო ბაგა ბაღებში რეგისტრაცია, მოქმედი წესით ხორციელდება 2 ეტაპად, პირველ ეტაპზე რეგისტრირდებიან მიზნობრივი სოციალური ჯგუფების წარმომადგენელი მოქალაქეები, ხოლო, მე-2 ეტაპზე ცხადდება საყოველთაო რეგისტრაცია, ხოლო, ცვლილების თანახმად, **მიზნობრივი სოციალური ჯგუფების კატეგორიას ემატება საჯარო ბაგა-ბაღების თანამშრომლის შვილები** და დღეს არსებული რეგისტრაციის 2 ეტაპის ნაცვლად, რეგისტრაცია განხორციელდება 3 ეტაპად:

- პირველ ეტაპზე რეგისტრაცია გამოცხადდება მიზნობრივი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის და საბავშვო ბაღებში მომუშავე თანამშრომლების შვილებისთვის;
- მე-2 ეტაპზე რეგისტრაცია გამოცხადდება თბილისში მცხოვრები/რეგისტრირებული ბავშვებისთვის;
- მე -3 ეტაპზე გამოცხადდება საყოველთაო რეგისტრაცია.

მისივე თქმით, ცვლილების მიზანია, მიზნობრივი სოციალურ ჯგუფების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები/რეგისტრირებული მოქალაქეების მოთხოვნების დაკმაყოფილება და საბავშვო ბაღებში ბავშვების მიღების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილების თანახმად, **„ზოგადი განათლების შესახებ“** საქართველოს კანონის შესაბამისად, 16 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე დაბადებულ ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა, მშობლის გადაწყვეტილებით დაიწყონ სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადების საფუძველზე დატოვოს აღსაზრდელი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში.

გოგი ჩიქოვანის განმარტებით, წესში გათვალისწინებულია მოქმედი საკანონმდებლო ბაზასთან შესაბამისობის საკითხი და ზუსტდება განმარტებები (ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონი, ავტორიზაციის წესი), კერძოდ,

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ყალიბდება დამოუკიდებელი ჯგუფები შემდეგი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისგან:

ა) 2-დან 3 წლამდე – სკოლამდელი განათლების პირველი წელი;

ბ) 3-დან 4 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-2 წელი;

გ) 4-დან 5 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-3 წელი;

დ) 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე – სკოლამდელი განათლების მე-4 წელი – ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა;

- ამასთან, ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის/აღსაზრდელის შემადგენლობით.

განმცხადებლის მითითებით, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით, ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101 დადგენილება, ამასთან, განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი ტექნიკურ - სტილისტური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც **გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს **წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.“

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, დაუმთავრებელი მშენებლობების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების მიზანი არის დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულება, მიზანშეწონილია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ, ასევე განხორციელდეს დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიება, რათა კიდევ უფრო მეტი წახალისება არსებობდეს დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის. პროექტის მიხედვით დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვისაგან გათავისუფლდებიან ის ობიექტები, რომლებიც მიიჩნევა **დაუმთავრებელ მშენებლობად,** შესაბამისად, თუ ეს ობიექტი ჩაჯდება ამ კრიტერიუმებში, ამ ობიექტზე გავრცელდება პროექტით გათვალისწინებული შეღავათი, ხოლო თუ არ განისაზღვრა აღნიშნული ხელშემწყობი ღონისძიებები, არ მოხდება ამ ობიექტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლისაგან გათავისუფლება.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის“ მე-9 მუხლს ემატება მე-6 პუნქტი, რომლითაც N17-46 დადგენილების დანართი 2-ის ცხრილის 31-ე გრაფით განსაზღვრული დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი, რომელიც ეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური მშენებარე ობიექტებს, არ გავრცელდება იმ მშენებლობებზე, რომელთა შესახებ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მიღებულია გადაწყვეტილება დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში 2022 წლის 1 აპრილიდან ამოქმედებულ ცვლილებაზე, რის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებისათვის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებარე ობიექტი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური მშენებარე ობიექტი, სრულად კომერციული გამოყენების მშენებარე ობიექტი, საწარმოო ან სამრეწველო გამოყენების, ასევე სხვა ფუნქციური დანიშნულების მშენებარე ობიექტი) დადგინდა დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ პროექტით გათვალისწინებული ცვლილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, გავრცელდება 2022 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, მისი მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული, სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნების შესახებ, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ქეთევან კანდელაკიშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, თბილისის წყალსაცავის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით, სანიტარიული დაცვის ზონის დასადგენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩატარებული, თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევის საფუძველზე, დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილება, რის მიხედვითაც, თბილისის წყალსაცავზე გამოიყო სამი სარტყელი, ხოლო მესამე სარტყელი დაიყო ორ არეალად, ამასთან. თბილისის წყალსაცავის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით თითოეული სარტყლისათვის დადგინდა მართვის სპეციალური რეჟიმი.

მომხსენებლის მითითებით, დადგენილებით დამტკიცებული წესის რედაქცია, ითვალისწინებს, მესამე სარტყელში არსებულ დასაშვებ და აკრძალულ საქმიანობებს, ამასთან. პრაქტიკაში გამოვლენილ იქნა შემთხვევები, როდესაც განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალი მე-3 სარტყლის I არეალის გარდა მოიცავს მეორე სარტყელსა და მესამე სარტყლის II არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებსაც. შესაბამისად, საჭირო გახდა დამატებითი რეგულაციის დაწესება, კერძოდ, ასეთ შემთხვევაში, მესამე სარტყლის I არეალში შემავალი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება განხორციელდება შესაბამისად - მესამე სარტყლის I არეალში ტერიტორიის განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში დასაშვები იქნება მხოლოდ სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა. საპროექტო არეალის მინიმალური ფართობი უნდა შეადგენდეს 50 000 $მ^2$-ს, რომლის 70% უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო სივრცეს, ხოლო, მეორე სარტყელი და მესამე სარტყლის II არეალი უნდა მოიცავდეს მხოლოდ სარეკრეაციო სივრცეებს.

დასასრულს, ქეთევან კანდელაკიშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და მისი მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **ვასილ აბულაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნულ დადგენილებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:**

- დადგენილების სათაური ნაცვლად მოქმედი რედაქციისა, ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“.

- **სსიპ - ტრანპოსტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განისაზღვრება** შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდის საფასურის ოდენობის განსაზღვრული კატეგორიისთვის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის დამდგენ **უფლებამოსილ ორგანოდ;**

მომხსენებლის განმარტებით, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის შემთხვევაში, ხშირად ხდება დავის საგანი თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მინიჭებული ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდის საფასურის ოდენობის განსაზღვრული კატეგორიისთვის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

დასასრულს, ვასილ აბულაძემ, განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან. მისი ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **ვასილ აბულაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, მზარდია არამატერიალური ბარათებით შესრულებული ტრანზაქციების წილი გადახდის ტრანზაქციებში, მათ შორის, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რის გამოც, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნულ დადგენილებაში იმგვარი ცვლილებების განხორციელება, რაც უფასო ან შეავათიანი ტარიფით/ფასით მოსარგებლე პირებს, შესაძლებლობას მისცემს, სურვილისამებრ/არჩევით, მგზავრობისას, ისარგებლონ არამატერიალური (ციფრული) ბარათებით, რაც გულისხმობს, მობილური ტექნოლოგიების გამოყენებით მგზავრობის საფასურის გადახდას.

ვასილ აბულაძის მითითებით, ზემომითითებულის გათვალისწინებით, სათანადო ცვლილებები შედის დადგენილების შესაბამის მუხლებში, რითაც გარდა იმისა, რომ ადგილი აქვს უფასო ან შეავათიანი ტარიფით/ფასით სარგებლობისას, მგზავრობის საფასურის ციფრული საშუალებებით გადახდის მითითებას, ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- 3[1] მუხლში შესატანი ცვლილებით, განისაზღვრა ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული გადახდის საშუალების ვადის გასვლის შემთხვევაში, მისი აღდგენისა და აღნიშნული მომსახურებისათვის თანხის გადახდის საკითხიც;

- 4[4] მუხლის ახალი რედაქციით, ასევე, ხდება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ უფლებამოსილების ამოღება შესაბამისი პირისათვის/თანამშრომლისათვის საჯარიმო ქვითრის შედგენის საკითხზე, ასევე, გამოწერილი ჯარიმის, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმების შემთხვევაში, სამგზავრო ბარათის ან გადახდის სხვა საშუალების სამგზავრო ფუნქციის აღდგენაზე;

- დადგენილებიდან ხდება შესაბამისი მუხლების ამოღება, რითაც, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას აღარ ექნება უფლებამოსილება, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის, ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, სათანადო ინფორმაციის მიწოდების, მათ შორის, ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ. ასევე აღარ განხორციელდება სსიპ - ტრანსპოტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისათვის" უფასო ან/და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით, ასევე ფასდაკლების სისტემით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება;

- ცვლილება ასევე შედის დადგენილების 22-ე მუხლში, რის საფუძველზეც, ბარათის მფლობელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ასევე იქნება დატანილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ის მიერ გაცემულ გადახდის საშუალებებზეც, მგზავრობის კონტროლის პროცესის გამარტივების მიზნით.

დასასრულს, დასასრულს, **ვასილ აბულაძემ**, განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი აგვისტოდან, მისი ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის და ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **ვასილ აბულაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ისეთი შემთხვევის გამოვლენისას, როდესაც სახეზეა, უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირთა მგზავრობისათვის გამოყენება ან ამ ბარათის გადაცემა სხვა პირისათვის, რომელიც აღნიშნულ ბარათს გამოიყენებს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ტრანსპორტში თავისი ან/და სხვა პირთა მგზავრობისათვის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს სამართალდამრღვევი პირის კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას და დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას უფასო და

შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვის შესახებ, ხოლო, იმ მიზნით, რომ მოქალაქეს არ შეეზღუდოს მისი კუთვნილი სამგზავრო პლასტიკური ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით მგზავრობის უფლება, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დაიბლოკოს არა სამგზავრო პლასტიკური ბარათის ან გადახდის სხვა საშუალების სამგზავრო ფუნქცია, არამედ ამ ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით მხოლოდ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ფუნქცია, რაც, ცვლილებების თანახმად აისახება დადგენილებაში.

მომხსენებელმა დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით დადგენილება შესაბამისობაში მოდის სატრანსპორტო პოლიტიკის მომწესრიგებელ შესაბამის აქტებთან, გარდა აღნიშნულისა, დადგენილებას ემატება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს თანამშრომელთა უფლებამოსილებები - მგზავრების სამგზავრო ბილეთის ან ელექტრონული გადახდის საშუალების ან/და ელექტრონული გადახდის საშუალების შემოწმების მიზნით, აგრეთვე, ემატება მგზავრთა ვალდებულებების მომწერიგებელი დანაწესები.

დასასრულს, დასასრულს, ვასილ აბულაძემ, განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან, მისი ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა ტექნიკური და სტილისტური ხასიათის შენიშვნები, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მომზადებაც განპირობებულ იქნა კომისიის სხდომის დღის წესრიგით დამტკიცებული რიგი დადგენილებების პროექტებით წარმოდგენილი საკითხის - „საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრებისათვის სურვილისამებრ/არჩევით არამატერიალური (ციფრული) ბარათებით სარგებლობის“ ღონისძიების

გათვალისწინებით და ამასთან, ადგილი აქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელებას:

- **დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში სათანადო პუნქტებში შედის რიგი ცვლილებები შემდეგი ღონისძიების გათვალისწინებით** - უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა მიერ სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირთა მგზავრობისათვის გამოყენების ან ამ ბარათის სხვა პირისათვის გადაცემის შემთხვევაში, რომელიც აღნიშნულ ბარათს გამოიყენებს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ტრანსპორტში თავისი ან/და სხვა პირთა მგზავრობისათვის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს სამართალდამრღვევი პირის კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას და დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვის შესახებ, ხოლო, იმ მიზნით, რომ მოქალაქეს არ შეეზღუდოს მისი კუთვნილი გადახდის სხვა საშუალებით მგზავრობის უფლება, წარმოდგენილი ცვლილებით, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დაიბლოკება არა გადახდის სხვა საშუალების სამგზავრო ფუნქცია, არამედ გადახდის სხვა საშუალებით მხოლოდ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ფუნქცია.

- **სააგენტოს ფუნქციებს ასევე ემატება,** კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, დადგენილების გამოცემა, აგრეთვე, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდის საფასურის ოდენობის განსაზღვრული კატეგორიისთვის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის, ასევე უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირის სამგზავრო პლასტიკური ბარათის დაბლოკვის ან გადახდის სხვა საშუალების უფასო ან შეღავათით მგზავრობის ფუნქციის დაბლოკვის ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;";

დასასრულს, დასასრულს, **ვასილ აბულაძემ**, განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან. მისი ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის. მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ – ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **ვასილ აბულაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილების პირველ მუხლში შესატან ცვლილებასთან შესაბამისობის მიზნით.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით, დღეს მოქმედი ჩანაწერი იცვლება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორებსა და ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებსა და ა(ა)იპ „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს" თანამშრომლებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული: ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიეცემათ, როგორც სამგზავრო პლასტიკური ბარათებით, ასევე გადახდის სხვა საშუალებით და განისაზღვრება თითოეული ბარათით ან გადახდის სხვა საშუალებით მგზავრობის განხორციელების რაოდენობა.

დასასრულს, ვასილ აბულაძემ, განმარტა, რომ დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი აგვისტოდან, მისი ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ – ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ **ვასილ აბულაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კონკრეტული, ერთი და იგივე მუხლებით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის/შევსების უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ისე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას.

მისივე მითითებით, მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების, დონორების მომუშავე გუნდის პრინციპული პოზიციაა, რომ ტრანსპორტის სისტემის გამართულად ფუნქციონირების ინტერესიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და აღსრულების ფუნქციები/უფლებამოსილებები მაქსიმალურად თავს იყრიდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქვეშ და არა რომელიმე მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორთან. შესაბამისად, 2023 წლის პირველი აგვისტოდან ძალადაკარგულად ცხადდება 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილება, ხოლო სააგენტო ერთპიროვნულად განაგრძობს საჯარიმო ქვითრების შედგენის უფლებამოსილებას.

ამასთან, მომხსენებელმა დაამატა, რომ კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სააგენტოსთვის საჯარიმო ქვითრების – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შევსებისთვის/შედგენისთვის საჭირო ინვენტარის გადაცემა და ასევე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ეძლევა საშუალება ამ დადგენილების ამოქმედებამდე მის მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელთან (ჯარიმასთან) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ქმედება განახორციელოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მომზადება განპირობებულ იქნა კომისიის სხდომის დღის წესრიგით დამტკიცებულ მე-11 საკითხის განხილვისას მითითებული გარემოებებით.

მომხსენებლის განმარტებით, მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების, დონორების მომუშავე გუნდის პრინციპული პოზიციით, რომ ტრანსპორტის სისტემის გამართულად ფუნქციონირების ინტერესიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და აღსრულების ფუნქციები/უფლებამოსილებები მაქსიმალურად თავს იყრიდეს სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქვეშ და არა რომელიმე მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორთან. 2023 წლის პირველი აგვისტოდან, ასევე ძალადაკარგულად ცხადდება 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილება, ხოლო სააგენტო ერთპიროვნულად განაგრძობს საჯარიმო ქვითრების შედგენას.

ვასილ აბულაძემ დაამატა, რომ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ეძლევა საშუალება ამ დადგენილების ამოქმედებამდე მის მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელთან (ჯარიმასთან) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ქმედება განახორციელოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიკე გრუპის“ უფლებამონაცვლე, შპს „ლ.ბ დიღომის“ გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მ/რ-ში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებთან/მათი უფლებამონაცვლეებთან და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან - შპს „ნიკე გრუპთან“ პრივატიზების ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადის შპს „ნიკე გრუპი“-ს მიერ დარღვევის გამო, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგინა - 700 ლარი, რისგანაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს მიერ, 2023 წლის განკარგულებებით, კომპანია იქნა გათავისუფლებული.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობაში შპს „ნიკე გრუპი“ სრულად ჩაანაცვლა შპს „ლ.ბ დიღომმა“ , ხოლო, ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა დარჩა უცვლელი, რომელთა შორის, საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და კოოპერატივის წევრების ინდივიდუალურ ფართებზე შესაბამისი ამონაწერების (საკუთრების უფლების რეგისტრაცია) სათანადო დროში, მომზადების ვალდებულების დარღვევის გამო, ვადაგადაცილებამ შეადგინა 30 (ოცდაათი) დღე, რაც კომპანიის განცხადებით, განაპირობა კოოპერატივის წევრებისთვის სამკვიდროს გახსნისა და მხარდამჭერის დანიშვნის პროცესების გაჭიანურებამ, შესაბამისად, კომპანიამ სააგენტოს მიმართა ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოს (ჯამში - 21 000 ლარი) პატიების თხოვნით.

საუბრის ბოლოს, მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტი ითვალისწინებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულებით დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, შპს „ლ.ბ დიღომის“ გათავისუფლებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6-ში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის განკარგულებებით, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა III შესახვევი N4-ის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1968 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი და განისაზღვრა კომპანიის მიერ შესასრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულებანი, თუმცა აღნიშნული კომპანიის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ინფორმაციით, მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება მათ ბალანსზე რიცხული ჟინვალის გვირაბი, ხოლო, წყალსადენის გვირაბის სანიტარული დაცვის ზოლში იკრძალება შენობა-ნაგებობების განთავსება,

შესაბამისად, წყალმომარაგების კომპანია წინააღმდეგია სანიტარული დაცვის ზოლში განხორციელდეს კანონით აკრძალული აქტივობები, ამასთან, კომპანიის განცხადებით, მიწის ნაკვეთის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ეწინააღმდეგება ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას, აგრეთვე პრივატიზებული ქონებაზე მიწის ნაკვეთზე თვითნებურად შეჭრილი პირები ხელს უშლიან პროექტის ფარგლებში კომპანიის მიერ სამუშაოების დაწყებას ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევით, რაც, კომპანიის განმარტებით, არ იძლევა შესაძლებლობას, განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო ვალდებულებანი.

მომხსენებლის მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიერ, შპს „ლიტ ჯეო ინვესტისთვის" შეთავაზებულ იქნა ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, იდენტური ოდენობის - 1 968 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისა და თავდაპირველად პრივატიზებული მიწის ნაკვეთის, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში, მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის პირობით და მიზნით, რასაც დაეთანხმნენ ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები და გამარჯვებული კომპანია.

საუბრის ბოლოს, **მარიამ კვერნაძემ** განმარტა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ახალი მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ლიტ ჯეო ინვესტისთვის" საკუთრებაში გადაცემას, სათანადო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა, III შესახვევი N4-ის მიმდებარედ არსებულ 1968 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით არსებული უფლებების დაბრუნებისა და მუნიციპალიტეტისთვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული სამართლებრივი ხასიათის შენიშვნების შესახებ, რომლებიც **გაზიარებულ** იქნა **საკითხის წარმომდგენის** მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2021 წელს, აუქციონის წესით, შპს „კორტებს“, ქალაქ თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩა 13-ში მდებარე 7174 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, გადაეცა საპრივატიზებო საფასურის - 2 635 944 (ორი მილიონ ექვსას ოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით, არაუგვიანეს 2023 წლის 10 დეკემბრისა ქონებაზე სპორტული კომპლექსის/სივრცეების მშენებლობის, ექსპლუატაციაში მიღების, მოწყობის/აღჭურვის - არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების პირობით, თუმცა, სააგენტოსადმი მიმართვით, მყიდველმა ითხოვა შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების ვადის 2025 წლის 1 ივლისამდე გაზრდა, პროექტის მასშტაბურობის გაზრდისა და ნაცვლად - 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარისა, არანაკლებ 26 000 000 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელების გეგმის გათვალისწინებით.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ მყიდველის მიერ სააგენტოს ასევე ეცნობა, არქიტექტურის სამსახურსა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს შორის, ასევე არქიტექტურის სამსახურსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შორის შეთანხმების მოპოვების გაჭიანურების თაობაზე, აგრეთვე, ამჟამად მიმდინარე, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, ამასთან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის დროის სიმცირის გათვალისწინებით, მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა ზემოაღნიშნული სახით, რაც მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეთანხმების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივი საფუძვლების დაზუსტების საჭიროებაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ჰოსპიტლის შესახვევი N7, თვითნებურად მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას: პაატა აბულაძე - 42.87 კვ.მ, ონისე ბულია - 25.07 კვ.მ, ზვიადი საცერაძე - 19.66 კვ.მ, მაია კობაიძეს- 25.15 კვ.მ და მაია ლაგვილავა - 48.80 კვ.მ, საერთო ჯამში გადაეცემათ 161.80 კვ.მ უძრავი ქონება.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ დაინტერესებულ პირთა მიერ ფართების ფლობის ფაქტი დასტურდება შსს-ს ცნობებით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით, ხოლო, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, დაინტერესებულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის პირველი და მეორე პუნქტების ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში მე-2 სართულზე არსებული 15.81 კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზურაბი ბასილაშვილს, რომელიც აღნიშნულ მისამართზე წლების განმავლობაში ცხოვრობს, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზურაბი ბასილაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბა პროექტის სათაურში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა N1-ში, მე-2 სართულზე მდებარე 66.77 კვ. მ. ფართის ბინა N4-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე არმიდონი გაბელაიას, რომელიც აღნიშნულ მისამართზე წლების განმავლობაში ცხოვრობს, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, არმიდონი გაბელაია დევნილად რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბა პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება, მდებარე: ქალაქი თბილისი, გუდამაყრის ქუჩა N4გ, 9.64 კვ.მ და

20.81 კვ.მ ფართები, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გიორგი მესხს, რომელიც ოჯახის წევრთან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე, ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის მიხედვით.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, გიორგი მესხსა და მის ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N51, მე-3 სართულზე არსებული 28.61 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, მოქალაქე ნათია მუშკუდიანისთვის პრივატიზებას, რომელიც 2013 წლიდან დღემდე, ოჯახის წევრთან ერთად ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნათია მუშკუდიანისა და მის ოჯახის წევრების სახელებზე, საკუთრების უფლება, უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივის მე-3 კვარტლის კორპუს „გ", პირველ სართულზე არსებული 28.37კვ.მ ფართსი პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, მოქალაქე მელანია გვრიტიშვილისათვის პრივატიზების, რომელიც 2000 წლიდან დღემდე, ოჯახის წევრთან ერთად ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მელანია გვრიტიშვილსა და მის ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურის მიმართ არსებულ შენიშვნაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **მარიამ კვერნაძემ,** ხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115, მე-3 სართულზე არსებული 32.32 კვ.მ. უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, მოქალაქე ელგა როხვაძისათვის პრივატიზებას, რომელიც **1986 წლიდან** წლიდან დღემდე, ოჯახის წევრთან ერთად ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ელგა როხვაძისა და მის ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისი, საინგილოს ქუჩა N130, პირველ სართულზე არსებული 50.35 კვ.მ უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, მოქალაქე ბესიკ ფარქოსაძისათვის პრივატიზებას, რომელიც 1996 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ბესიკ ფარქოსაძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გიორგი ჩიტაიას ქუჩა N33, შენობა N31, პირველ სართულზე არსებული 105.46 კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, მოქალაქე კობა გაგუასთვის პრივატიზებას, რომელიც დაახლოებით 17 წელია, ოჯახთან ერთად ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება შსს-ს ცნობებით, საუბნო

განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, კობა გაგუასა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებულ შენიშვნაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, **მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების,** მდებარე: ქალაქი თბილისი, მე-3 მასივი, მე-9 კვარტლის კორპუს N2, მე-4 სართულზე არსებული 70.21 კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრებაში **მოქალაქე ოლგა სმირნოვასთვის პრივატიზებას,** რომელიც მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 15-20 წლის განმავლობაში, რაც ასევე დასტურდება, შსს-ს ცნობებით, საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ სსიპ- - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ოლგა სმირნოვასა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული** არ არის.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის მიმართ არსებულ შენიშვნაზე, **რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ **მარიამ კვერნაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115, პირველ სართულზე არსებული 41.11კვ.მ უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, **მოქალაქე ნინო ლეფსვერიძისათვის პრივატიზებას**, რომელიც 2012 წლიდან დღემდე, ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც ასევე დასტურდება, შსს-ს ცნობებით, საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით, საცხოვრებელი ფართების ფოტომასალებითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ნინო ლეფსვერაძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **მარიამ კვერნაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N36-40-ის მიმდებარედ, 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნეკაფესთვის“, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ **იჯარის მოქმედების ვადა - 2023 წლის 1 ოქტომბრამდე;**
- ✓ **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 8640 (რვა ათას ექვსას ორმოცი) ლარი.**

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია 36 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს განთავსების მიზნით, ამასთან დასძინა, რომ, შპს „ნეკაფე“, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, 2023 წლის პირველ ოქტომბრამდე ვადით, იჯარის უფლებით ფლობს 106.13 კვ. მ. ფართობის უძრავ ქონებას.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების შესახებ, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N20-ის მიმდებარედ, არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლილი ვანილისთვის“ ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - 2025 წლის 4 აპრილამდე;
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3840 (სამი ათას რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ შპს „ლილი ვანილი“ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, 2025 წლის 4 აპრილამდე ვადით, იჯარის უფლებით ფლობს უძრავ ქონებას, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია 16 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს განთავსების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მოსეშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ, 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შპს „ასორტი ვერესთვის“ იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - 2026 წლის 1 აპრილამდე;
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ შპს „ასორტი ვერე" ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, იჯარის უფლებით ფლობს 99.64 კვ.მ უძრავ ქონებას 2026 წლის 1 აპრილამდე ვადით, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის საკითხს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N25-27-ის მიმდებარედ, 1402 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „მარიკა სვიანაძისთვის", ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - 2024 წლის 1 მაისამდე ვადით;
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ი/მ „მარიკა სვიანაძე" ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, იჯარის უფლებით ფლობს 10 კვ.მ უძრავ ქონებას 2024 წლის 1 მაისამდე, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია 2 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს განთავსების მიზნით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ი.აბაშიძის ქუჩა, N28-66-ის მიმდებარედ, 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის განკარგვის წესით , შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის", ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ **იჯარის მოქმედების ვადა - 2028 წლის 1 თებერვლამდე;**
- ✓ **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4560 (ოთხი ათას ხუთას სამოცი) ლარი.**

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ შპს „ღვინის ბიბლიოთეკა", ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, 2028 წლის პირველ თებერვლამდე ვადით, იჯარის უფლებით ფლობს 138.13 კვ. მ. ფართის უძრავ ქონებას, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია 19 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს განთავსების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების შესახებ, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ის მიმდებარედ, 39 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის"** ღია კაფეს მოწყობის მიზნით,იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ **იჯარის მოქმედების ვადა - 2028 წლის 1 იანვრამდე;**
- ✓ **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7020 (შვიდი ათას ოცი) ლარი.**

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ შპს „ბურგერ ბარ კომპანია" ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, 2028 წლის პირველ იანვრამდე ვადით, იჯარის უფლებით ფლობს 285 კვ. მ. ფართობის უძრავ ქონებას, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია 39 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს განთავსების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული შენიშვნების შესახებ, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის" (ს/ნ: 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N199 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N199 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 29 მაისის ბრძანების შესაბამისად, „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონს" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთი, დავით სარაჯიშვილის სახელობის, მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საგამოფენო პავილიონის განთავსების მიზნით.

მარიამ კვერნაძის თქმით, ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა ა(ა)იპ „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონის" დირექტორმა, წარმოადგინა გასწორებული საკადასტრო აზომვითი ნახაზები და ითხოვა გადაცემული 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად, 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა, ამასთან, დაინტერესებული პირის გამარტებით, თავიდანვე მოთხოვნილი იყო 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით განკარგვა, თუმცა, დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონის განთავსების ორთოფოტოზე და ელექტრონული ვერსიაში აღმოჩნდა ტექნიკური შეცდომა და ნაცვლად 14 კვ.მ ფართისა მიეთითა 11 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

დასასრულს, მომხსენებელმა განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“, ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად მოთხოვნილი 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **მარიამ კვერნაძემ,** სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა, რომ დღის წესრიგის, რიგით 34-ე საკითხად განსაზღვრულია, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, **2 წლის ვადით,** ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბი“-სათვის გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმება.

მომხსენებლის განმარტებით, ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბის“ აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის, 10 ოთახი, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, საქართველოს გენერალთა კლუბის განთავსების მიზნით.

საუბრის ბოლოს, **მომხსენებელმა** განმარტა, აღნიშნულთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა თავდაცვის სამინისტროს, რომელიც, არ არის წინააღმდეგი არსებული ფართი გადაეცეს სარგებლობის უფლებით „საქართველოს გენერალთა კლუბს“, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა, რომ დღის წესრიგის, რიგით 35-ე საკითხი, ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, ა(ა)იპ „ასოციაცია აგორასთვის“, გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორას“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით, უსასყიდლოდ გადაეცა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 659 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა და ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე 1281 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მეფუტკრეობის განვითარების მრავალფუნქციური რეგიონალური ცენტრის განთავსების მიზნით, ამასთან, აღნიშნა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს სათანადო ბრძანებით დადასტურებულ იქნა, ა(ა)იპ „ასოციაცია აგორას“ მიერ, უსასყიდლო აღნაგობის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, კერძოდ, აღნაგობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 30 დეკემბრამდე მეფუტკრეობის განვითარების მრავალფუნქციური რეგიონული ცენტრის მშენებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება და აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, იმავე პუნქტში მითითებულ ვადაში არანაკლებ 400 000 (ოთხასი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით.

მომხსენებელმა დასძინა, ა(ა)იპ „ასოციაცია აგორას“ თავმჯდომარემ, სააგენტოსადმი მიმართვით, დამატებით ითხოვა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ცენტრის მიმზიდველობას ვიზიტორებისთვის და შესაბამისობაში მოვა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის და შენობის ორიგინალურ დიზაინთან.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ, **ნინო ბაგაშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** განკარგულების **პროექტი,** რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული, ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების გათვალისწინებით, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, **შპს „ირბისთვის“** მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N105-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით, შპს „ირბისმა“, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ, გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

მომხსენებელმა განმარტა **საკითხის ფაქტობრივი** გარემოებები:

- მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო, განმცხადებლის მიერ, მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=4.9-მდე;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 019 554 აშშ დოლარს, რაც იმ პერიოდისთვის არსებული კურსით შეადგენდა 10 418 282 ლარს;
- ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვრება სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით;

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, შპს „ირბისს“ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით,

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა, N105 მიმართებაში, განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=4.6 დან კ-2=4.9 მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- შპს „ირბისმა“ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 679, 453.17 ლარის გადარიცხვა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით - ამ ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა კი გამოიწვევს ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- კომპანიამ, გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ამ ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, აგრეთვე, გამოიწვევს ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- შპს „ირბისმა“ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც,** საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებით“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაუმთავრებელი

მშენებლობების დასრულებისათვის დადგენილი, საჭირო, დროებითი ღონისძიებების გათვალისწინებით, **ითვალისწინებს,** შპს ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს ,,ისანი თაუერსის" მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 69 - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" და შპს ,,ისანი თაუერსმა" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართეს და ითხოვეს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 69-ში მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებით დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, ხოლო, კომისიის მიერ, **განხილვის დროს გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებები:**

- ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომისიამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგინა დადებითი რეკომენდაცია მისამართებზე: - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი. 45 და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 69 - არსებულ მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში მხარდამჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და შპს ,,ალმას" მიერ წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში;
- **შპს ,,ალმამ" საკომპენსაციო თანხის გადახდა განახორციელა დადგენილ ვადებში;**
- შპს „ისანი თაუერსმა" და შპს ,,წერეთელი თაუერსმა" (ყოფილი შპს ,,ალმა"), განცხადებით მიმართეს კომისიას და მოითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 45 და ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენება. კერძოდ, მისამართზე - ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 45-ის არსებული მიწის ნაკვეთის კოეფიციენტის ნაწილის გადანაწილება მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69-ის არსებულ მიწის ნაკვეთზე, რაც გულისხმობს, ორ მიწის ნაკვეთს შორის მხოლოდ კოეფიციენტის გადანაწილებას. კომისიის რეკომენდაციით, აღნიშნული მოთხოვნა დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და შეითანხმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ;
- ქეთევან წამებულის გამზ. N69-ში - არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, კომპანიის საკუთრებაშია რამდენიმე მიწის ნაკვეთი. არსებულ მიწის ნაკვეთსა და მომიჯნავე **მიწის ნაკვეთებზე იგეგმება, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა.** ვინაიდან მიმდინარეობს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შეთანხმების პროცესი, აღნინულ მისამართზე მნიშვნელოვანია მოხდეს, საკადასტრო ერთეულზე დადგენილი სამშენებლო პარამეტრებისა და პრეფერენციების გადანაწილება სამშენებლო არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე.

მომხსენებლის განმარტებით, შპს „ისანი თაუერსი" ითხოვს, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (განკარგულება N 344, 16.07.2022) მიერ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტი** (კ-2) – 14.28 **გადანაწილდეს** „გასაშუალოებული" კოეფიციენტის სახით, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე: და

განისაზღვროს თითოეული მიწის ნაკვეთის კ-2 - 5.772-ით, ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, პარკინგების რაოდენობასთან დაკავშირებული, 2021 წლის 9 თებერვლის N49 განკარგულებით დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიება დარჩეს უცვლელი.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა:

- შპს „ისანი თაუერსს" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებების და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 - არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, განესაზღვროს ქვემოთ ჩამოთვლილი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) - 14.28 გადანაწილება „გასაშუალოებული" კოეფიციენტის სახით მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე და განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) - 5.772-ით, მისამართზე - ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N69 - არსებული მიწის ნაკვეთიდან გადატანის შედეგად ნამატი სამშენებლო მოცულობის - 5859 კვ.მ-ის გათვალისწინებით, ამასთანავე, აღნიშნულ მისამართზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2), ასევე, განისაზღვროს 5.772-ით;
ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებებით განსაზღვრული მხარდამჭერი ღონისძიებები და დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებები დარჩეს უცვლელი. ამასთან, აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძიებები გავრცელდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ მიწის ნაკვეთიდან - ს/ნ: 01.17.13.038.024 გადანაწილებული/გადატანილი სამშენებლო მოცულობის ფარგლებში.

აზრი გამოთქვეს:
ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც კომისიის სხდომის დღის

წესრიგით, რიგით 37 საკითხის სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით, ითვალისწინებს, ,შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და შპს „ჯსჯ გრუპის“ მიმართ გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის განმარტებით, შპს „ჯსჯ გრუპმა“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა და ითხოვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ქალაქი თბილისი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N1ა/ქალაქი თბილისი ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N3/ქალაქი თბილისი სლავა მეტრეველის ქუჩა N9-ში მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, 2023 წლის 9 ივნისს, 36 კალენდარული დღის დაგვიანებით განხორციელებული გადარიცხვის ჩათვლა.

მომხსენებლის თქმით, შპს „ჯსჯ გრუპს“, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, განსაზღვრული თანხის გადარიცხვა უნდა განეხორციელებინა სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა გადაცდენოდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას. შპს „ჯსჯ გრუპმა“ საკომპენსაციო თანხის ნაწილი გადაიხადა განსაზღვრული ვადის დაცვით, თუმცა მეორე ნაწილი გათვალისწინებული ვადების დარღვევით, 36 (კალენდარული) დღის დაგვიანებით. კომპანიამ, ასევე გადაიხადა ვადაგადაცილების გამო განსაზღვრული თანხა.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავორობამ იმსჯელა და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

- შპს „ჯსჯ გრუპს“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N1ა/ქალაქი თბილისი ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N3/ქალაქი თბილისი სლავა მეტრეველის ქუჩა N9 - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული, გაცემული მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ჯსჯ გრუპის“ მიერ შესასრულებელი ვალდებულებები ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში ჩაითვალოს შესრულებულად და ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის - „თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ და დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,

მომხსენებლის განმარტებით, ახალი დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულ იქნა განხორციელებული საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ცვლილებებით, კერძოდ: საქართველოს მთავრობის მიერ, 2023 წლის 15 მაისს, დამტკიცებულ იქნა N177 დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“, რაც განსაზღვრავს საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესს და პირობებს, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი დადგენილების პროექტის მომზადება, რითაც დარეგულირდება მხოლოდ პრაქტიკის გავლის წესი, რაც შესაბამისად იწვევს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის მოქმედი, N20-84 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, პროექტით წარმოდგენილი წესი, ამჟამად მოქმედისაგან განსხვავებით, გარდა ზემოაღნიშნულისა, გაითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- ახალი რედაქციით ყალიბდება ტერმინი „კანდიდატი“, რაც შესაძლებლობას იძლევა, სასწავლო პრაქტიკა გაიაროს საგანმათლებლო დაწესებულების ნებისმიერ კურსზე მყოფმა საქართველოს მოქალაქემ, გარდა, საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვისა, პირადი განცხადების საფუძველზეც;
- ცალკეულად განისაზღვრება დოკუმენტაციის ნუსხა პირადი განცხადებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვის შემთხვევაში;
- ზუსტება, რომ განცხადება გარდა გამგეობისა, უშუალოდ წარედგინება მერს;
- განისაზღვრა „საგანმანათლებლო დაწესებულების“ ტერმინის განსაზღვრება წესის მიზნებისათვის;
- დაზუსტდა პრაქტიკის ვადის დადგენის საკითხები, გარდა, დაწესებულებასთან შეთანხმებისა, ვადას განსაზღვრას ასევე მერი ან გამგებელი;
- განისაზღვრება პრაქტიკანტისათვის სასწავლო პრაქტიკის შეწყეტის საფუძვლები.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, მისი მიღება არ იწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მომზადებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რითაც, განისაზღვრება საკრებულოს იმ წევრის, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში, პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორციელებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფრაქციის წევრების მსგავსად, ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოდენობით, ამასთან, ზემოხსენებულის გათვალისწინებით მტკიცდება ხარჯების ანაზღაურების შესაბამისი ფორმა, რეგლამენტით განსაზღვრული ზღვრული მოცულობის ფარგლებში.

აზრი გამოთქვეს:
ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი.

მომხსენებელმა კომისიის წევრს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მ/წლის 29 ივნისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა - მიხეილ კაკაურიძემ განცხადებით მომართა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას და აცნობა, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიისა და სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიაში გაწევრიანების სურვილი, ამასთან, ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, მ/წლის 29 ივნისს, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ასევე მომართა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა - ნინო წულაძემ, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დატოვებისა და სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში გაწევრიანების განცხადებით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მათ შორის განეკუთვნება კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება, ხოლო, ამავე, ამავე ორგანული კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში, ხოლო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე ისაუბრა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაზღვრული პროცედურული ღონისძიებების შესახებ, შემდეგი სახით: მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, კომისიის წევრი ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ საკითხზე, კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს გავიდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრმა კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად გადაწვიტეს, რომ დაცულია საკრებულოს წევრის მიერ კომისიის ცვლილების წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის მითითებით, კომისია დანართის სახით წარმოადგენს, ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

მოისმინეს:
42. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ ჩივაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებით დამტკიცებულ „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" ცვლილების განხორციელებას.

მარიამ ჩივაძის მითითებით, დადგენილებით დამტკიცებული ზემოაღნიშნული წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით, ღვიძლის ტრანსპლატაციის საჭიროების მქონე პირებისათვის, ღვიძლის ტრანსპლანტაცია ფინანსდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, დადგენილი ტარიფის გარგლებში, არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით (პაციენტის თანაგადახდა შეადგენს არაუმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს), ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით, ხოლო, წარმოდგენილი პროექტით - ღვიძლის ტრანსპლატაციის საჭიროების მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება სრულად, დადგენილი ტარიფის ფარგლებში და პაციენტს აღარ მოუწევს თანაგადახდა. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 70 000 ლარის ნაცვლად დააფინანსებს 120 000 ლარის ფარგლებში სრულად.

მომხსენებელმა დასძინა, რომ თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული იყო საჭიროების მქონე 8 პირის თანადაფინანსება. ამ ეტაპისათვის ბენეფიციართა ნაწილი დაფინანსებულია 70 000 ლარით, იგეგმება დარჩენილი ბენეფიციარების დაფინანსება 120 000 ლარით, ამასთან, ვინაიდან, აღარ იქნება ბენეფიციარების მიერ თანაგადახდის

საჭიროება, ქალაქ თბილისის მთავრობა მოსალოდნელად მიიჩნევს ბენეფიციართა რაოდენობის ზრდას, რაც იწვევს ბიუჯეტის გაზრდას 990 000 ლარით.

მარიამ კვერნაძემ ასევე მიუთითა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად გათვალისწინებულია 2023 წლის 1 ივლისი, ხოლო მისი ამოქმედება, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის - **„თბილისის საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - ზაზა თავაძემ.**

ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	თ. კაკოიშვილი	თამთა კაკოიშვილი